RETAIL GROUP GEORGIA L. L.C.

№ 378/2013

10 ივლისი 2013

მინდობილობა

ეძლევა შპს "RETAIL GROUP GEORGIA"-ს (შემდგომში-მარწმუნებელი) თანამშრომელს, საქ. მოქ. ქ-ნ რუსუდან არსლანს პ/ნ 01008021236 (შემდგომში-რწმუნებული) მასზედ, რომ კომპანია ენდობა თავის თანამშრომელს და ანიჭებს ქვემოთ აღნიშნულ შემდეგ უფლებამოსილებებს:

1. რწმუნებულს უფლება აქვს წარმოადგინოს და დაიცვას მარწმუნებლის ინტერესები ქ.თბილისის მერიაში.

2. რწმუნებული უფლებამოსილია წარადგინოს და გამოითხოვოს ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია ქ.თბილისის მერიდან და მისი სტრუქტურული დანაყოფებიდან, რომელიც დაკავშირებულია მარწმუნებლის საქმიანობასთან.

3. რწმუნებულს უფლება აქვს მიმართოს მერიის შესაბამის სამსახურებს განცხადებით, ატვირთოს მერიის ელ-საიტზე არსებული დოკუმენტაცია, მიიღოს სარეკონსტრუქციო-სამშენებლო პროექტი, შეთანხმებული დოკუმენტაცია, მშენებლობისა და სარემონტო სამუშაოების ნებართვა და სხვა.

4. რწმუნებული უფლებამოსილია განახორციელოს არსებული პროექტების კორექტირება და ხარვეზის გასწორება. რწმუნებული უფლებამოსილია განახორციელოს კომპანიის სახელით ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა და ხელი მოაწეროს სხვადასხვა სახის დოკუმენტაციას.

5. რწმუნებულს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს და ჩაიბაროს მარწმუნებლისათვის განკუთვნილი ნებართვები/ლიცენზიები. რწმუნებულს უფლება აქვს მიიღოს შესაბამისი ნებართვები კომპანიის სახელით, რომელიც საჭიროა ბანერების დამონტაჟებისათვის.

6. წინამდებარე მინდობილობა ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 1 წლის ვადით.

შპს "RETAIL GROUP GEORGIA"-ს

დირექტორი ჯამილ აკრან ქარმოული

Retail Group Georgia LLC 404399236

20 Telavi Street, 0103 Tbilisi, Georgia

Identification Number 404399236 Date of Registration April 27, 2011